ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

„სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"

2700 ლაგოდეხი. 26 მაისის ქ. N20

Email: lag.saxelovnebo.skola@gmail.com

ტელ: (354) 22-52-71

მობ: 5(99) 94-64-05

ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების"

ანგგარიში 2023 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის იანვრიდან შედგა წლის სამუშაო გეგმა.

16 იანვრიდან განახლდა 2022-2023 სასწავლო წლის II-სემესტრი რომელიც დასრულდა 15 ივნისს.

ამ პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ყველა მეთოდური და სასკოლო ღონისძიებები ჩატარდა.

2-6-7 მარტს ტრადიციულად ჩატარდა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საკონცერტო საღამოები ყველა სამუსიკო სკოლაში.

7 მარტს ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი სადაც შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები (ა. ფარცხალაძე, დ. თორაძე, ბ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი და გ. ყანჩელი) ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის პედაგოგების მიერ, მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „გაიღვიძა ბუნებამ".

სოფ. აფენის, ლალიანის და ვარდისუბნის სამუსიკო სკოლებში მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა ღია კონცერტები.

25 აპრილს ქ. თელავში ჩატარდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდებმა და დაიმსახურეს შემდეგი ადგილები: ქ. ლაგოდეხის, სოფ. ლელიანის და სოფ. ვარდისუბნის სამუსიკო სკოლებმა მე-2, ადგილი ხოლო აფენის სამუსიკო სკოლამ მე-3 ადგილი.

18 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში გაიმართა ყოველწლიური ფესტივალი „ეზიარე ფიროსმანს“ სადაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის 12-მა მოსწავლემ. ფესტივალზე შესრულებული ნამუშევრები გამოფენილ იქნა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ რაიონულ ღონისძიებაზე, ხოლო შემდეგ კი ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლის საგამოფენო სივრცეში.

23 მაისს ჩატარდა კომპოზიტორ მ. მერაბიშვილის ნაწარმოებების საავტორო კონცერტი ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების შესრულებით.

24-25 მაისს ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის პედაგოგები წარსდგნენ ანგარიშით და ჩატარდა პედაგოგთა კლასის კონცერტები, ასევე ღია კონცერტები ჩატარდა ყველა სამუსიკო სკოლაში.

1 ივნისს ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლის დარბაზში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ყოველწლიური (ტრადიციული) ღონისძიება „მუდამ გვემღერებოდეს“ სადაც მონაწილეობა მიიღო გაერთიანების ყველა სამუსიკო სკოლის გუნდმა, ასევე მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ამ ღონისძიებზე მონაწილეობა მიიღო ახლად შექმნილმა ბიჭუნათა ანსამბლმა, რომელიც ჩამოყალიბდა მშობლების მოთხოვნით.

მაისის თვეში ჩატარდა სოფ. ლელიანსა და სოფ. ვარდისუბანში კონკურსი ეტიუდებში და I-II-III-ადგილზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.

ასევე მაისის თვეში ქ.ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა I-II-III-IV კლასის მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონკურსი „მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა გამოცნობა“ კონკურსში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები .

9 ივნისს ჩატარდა ღია აკადემიური კონცერტი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობთ.

15 ივნისს დასრულდა 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი.

2023 – 2024 სასწავლო წლისათვის სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში სექტემბერში მივიღეთ 70 მოსწავლე პირველსა და მაღალ კლასში.

ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო (სამუსიკო)სკოლა - 16 მოსწ.

სოფ. აფენის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 8 მოსწ.

სოფ. ლელიანის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 9 მოსწ.

სოფ. ვარდისუბნის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 12 მოსწ.

ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო (სამხატვრო) სკოლა - 25 მოსწ.

2023 წლის 18 სექტემბრიდან ვაგრძელებთ მუშაობას 2023 – 2024 სასწავლი წლის სამუშაო გეგმით.

დეკემბრის თვეში ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები - მოსწავლეთა კონცერტები: 22 დეკემბერს სოფ. აფენის სამუსიკო სკოლაში, 25 დეკემბერს სოფ. ლელიანისა და ვარდისუბნის სამუსიკო სკოლებში, 25 დეკემბერს ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო ასევე ბიჭუნათა გუნდმა (2023 წლის ოქტომბრში ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლაში გაიხსნა საგუნდო კლასი). მოეწყო ქ. ლაგოდეხის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოენა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პ. „სახელოვნებო სკოლების

გაერთიანების“ დირექტორი: /ნ. კობერიძე/